ოქმი:**ო37.37222731**

თარიღი:**30/09/2022**

ოქმი # 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2022 წელი 29 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, დ. ჭაკნელიძე, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია, მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და მუნიციპალიტეტის მერიიდან დამატებით წარმოდგენილი 1 საკითხის : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ დამატებით, დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.15.10.363) უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიას (დ. ჭაკნელიძე).

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1, 2, 3, 4 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, აქედან N1,2, 4 განსახილველად და დასამტკიცებლად, N3 განხილვისა და საჯარო-ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2. N 5 საკითხი განსახილველად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიას (დ. ჭაკნელიძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი